ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 10141/01
16/10/2019

10141-01-2-201910161237

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 23 აგვისტოს N12199 წერილი, რომელიც ეხება ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი გზის: 1) კმ10.6 - კმ20.6-ის (ლოტი III), 2) კმ20.6–კმ29.5-ის (ლოტი IV) და 3)კმ29.5 - კმ40.9-ის (ლოტი V) მონაკვეთების მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებს.

აღნიშნულ პროექტებზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებების შესაბამისად (N 2-61, 22.01.2019; N 2-76, 24.01.2019; N 2-81, 25.01.2019) გაცემულია შესაბამისი სკოპინგის დასკვნები.

გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ზემოაღნიშნულ პროექტებზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვეთა გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭიროებს დაზუსტებას. წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშები არ მოიცავს N1 (15.01.2019წ.); №4 (15.01.2019) და №3 (15.01.2019) სკოპინგის დასკვნებში მითითებულ კონკრეტულ საკითხებს და კვლევებს, კერძოდ:

- წარმოდგენილი გზშ ანგარიშები არ მოიცავს, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას (ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით);
- კმ10.6 - კმ20.6-ის (ლოტი III) მონაკვეთის სკოპინგის ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ საპროექტო გადაწყვეტილებების შესაბამისად ტრასაზე დაპროექტებულია ორი რკინაბეტონის ხიდი: მდინარე ჯრუჭულაზე და მდინარე მოხვურაზე. გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული ინფორმაცია ტრასაზე დაპროექტებული რკინაბეტონის ხიდების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;
- წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშებში არ არის მოცემული შესაბამისი სკოპინგის დასკვნებით განსაზღვრული ინფორმაცია საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრის შესახებ, საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, კონკრეტული დამცავი ღონისძიებების მითითებით;

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

- გზშ-ის ანგარიშებში დასაზუსტებელია და წარმოსადგენია საპროექტო დერეფნის სხვადასხვა მონაკვეთებზე გამოვლენილი მეწყრული, ქვათაცვენის და კლდეზვავური უბნების კოორდინატები, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- საშიში გეოლოგიური პროცესების შესახებ, გზშ-ის ანგარიშებში მოცემული გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაცია იძლევა ზოგად სურათს მუნიციპალიტეტების მასშტაბით და არ ასახავს უშუალოდ საპრექტო გზის მონაკვეთებზე არსებულ გეოდინამიკურ სიტუაციას, რაც არ იძლევა მისი სრულყოფილად შეფასების შესაფასებლად;
- მოცემულ გზშ-ის ანგარიშებში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი სკოპინგის დასკვნებით გათვალისწინებული სამშენებლო ბანაკის გენ-გეგმა, სამშენებლო ბანაკის ფართობი (Shp ფაილები), ფუჭი ქანების განთავსების ადგილებისათვის (სანაყაროები) შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია;
- სკოპინგის დასკვნების შესაბამისად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებში წარმოდგენილი უნდა იყოს, ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების სახეობრივი შემადგენლობის და მახასიათებლების დეტალური კვლევა (ტაქსაცია). ზემოქმედებას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების შესახებ ინფორმაცია სახეობების და რაოდენობის მითითებით. წარმოდგენილ გზშ ანგარიშებში ზემოაღნიშნული საკითხები დასაზუსტებელია;
- წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშებში დასაზუსტებელია შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები საპროექტო არეალში ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ფლორის წარმომადგენლებზე;
- გზშ-ის ანგარიშებში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი სკოპინგის დასკვნებით გათვალისწინებული ინფორმაცია უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ცხოველებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელ ნუსხით" დაცულ სახეობებზე) და ჰაბიტატებზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნეს ფოტომასალასთან ერთად;
- დაზუსტებას საჭიროებს კმ29.5 - კმ40.9-ის (ლოტი V) მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში აღნიშნულ მდ. ხეურაზე სახიდე გადასასვლელის საპროექტო ტერიტორია. გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული აღნიშნული ხიდის GPS კოორდინატები, საპროექტო ხიდი არ იდენტიფიცირდება ასევე წარმოდგენილი Shp ფაილებიდან;
- მეოთხე და მეხუთე ლოტის ანგარიშებში წარმოდგენილია სრულიად იდენტური ზზშ (ზურმუხტის ქსელზე შეფასება). ამასთან, არ ჩანს როდის და რა მეთოდით ჩატარდა საველე კვლევები და არ არის წარმოდგენილი კვლევის დამადასტურებელი ფოტომასალა;
- ლოტი III და ლოტი IV გარემოზე ზემოქმედების ანგარიშებში ჰიდროლოგიური ნაწილის გაანგარიშებებში ერთი და იგივე მონაცემებია წარმოდგენილი, შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;
- V ლოტის გზშ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სათანადო კვლევაზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია პროექტის გავლენის ზონაში არსებულ იქთიოფაუნაზე, შესაძლო ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე;
- გზშ ანგარიშების ლოტი IV და ლოტი V - სამშენებლო-სარეაბილიტაციო გზის მოცემულ არეალში გეოტექნიკური გამოკვლევები არასათანადო დონეზეა ჩატარებული. გეოლოგიური ინფორმაციის უმეტესი ნაწილი ეფუძნება ვიზუალურ

შეფასებებს და არა დეტალურ გეოტექნიკურ და ლაბორატორიულ გამოკვლევებს. აღნიშნულ არეალში გავრცელებული გრუნტები საჭიროებენ კომპლექსურ დახასიათებას და მახასიათებლების მიხედვით მათ დიფერენცირებას (სგე). განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს რთული გეომორფოლოგიური და გეოლოგიურად არამდგრადი უბნები (სოფ. უზუნთას შემოგარენი, ხიხათას მთის ფერდობები). აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება აუცილებელი პირობაა სახიფათო და არამდგრად უბნებზე გზის მარშრუტის ოპტიმიზირებისათვის;

- გზშ-ის ანგარიშების გარკვეულ თავებში მითითებულია დანართები, რომლებიც გზშ-ის თან არ ახლავს. შესაბამისად აღნიშნული დანართები წარმოდგენილი უნდა იქნას სამინისტროში;

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენამდე აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენის შემდგომ სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე